№ 3 იანვარი 6, სამშაბათი 1887 იანვარი 6, სამშაბათი № 3

თფილისი

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

განცხადება

ხუთშაბათს, 8 იანვარს, დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და ამისათვის სთხოვენ ბბ. წევრთ, რათა მობრძანდნენ ამ კრებაზედ საღამოს 7½ საათზედ.

საგანნი კრებისა:

1) მორიგი საქმეები.

2) შემოსავალ-გასავალი სამეურნეო საზოგადოებისა 1887 წლისა.

3) ი. პ. პროცენკოს მოხსენება «კასპიის იქითა მხრის აბრეშუმის მოყვანაზედ».

გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

ტფილისი, 5 იანვარი

ჩვენი წერილები პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში სავსე არ იქნება, რომ ერთი ის გარემოებაც არ წარმოვუდგინოთ მკითხველს, რომლის გამოც ჩვენში აღძრული 1885 და 1886 წელს პურის ვაჭრობა შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა მკვიდრად დაყენებულს წარმატებას პურის მოყვანისას. ვის არ ახსოვს, რა რიგად დაიწია ჩვენში პურის ფასმა 1884 წელს და ამ დაწეულმა ფასმა საგრძნობელად არც 1885 წელს აიწია. გარდა ამისა და თუმცა ფასები მეტად დაწეული იყო, ამ 1884 წელს თითქმის მუშტარი არა ჰყვანდა ჩვენს პურსა. აი ამისი მიზეზი რა იყო. ამ 1884 წელს პური დაჰკლებია, ჩეტვერტობით რომ ვიანგარიშოთ:

ინგლისსა და ირლანდიას	23,900,000
საფრანგეთს	9,200,000
გერმანიას	3,500,000
ბელგიასა და გოლანდიას .	1,750,000
ისპანიასა და პორტუგალიას.	500,000
იტალიასა და სიცილიას. .	1,500,000
შვეიცარიას	1,250,000
მექსიკას	250,000
დასავლეთ-ინდოეთს . . .	950,000
შიდა-ამერიკას	990,000
პერუს.	100,000
ბრაზილიას	250,000
სამხრეთ-ამერიკას . . .	500,000
სულ . . .	44,640,000

ამავე 1884 წელს პური მოჰმატებია:

ოსმალეთს	2,750,000
ავსტრი-ვენგრიას . . .	500,000
რუმინიას.	1,000,000
რუსეთსა	13,200,000
სპარსეთს	250,000
აღმოსავლეთ-ინდოეთს . .	8,000,000
ავსტრალიას	750,000
ახალ-ზელანდიას . . .	600,000
ჩრდილო-ამერიკის შტატებს.	30,000,000
კანადას	650,000
ჩილის	750,000
ლაპლატას	200,000
სულ . . .	58,650,000

ამ ციფრებიდამ სჩანს, რომ საქვეყნო ბაზარს პურისას 44,640,000 ჩეტვერტის მუშტარი ჰკლებია და გამსყიდველი-კი 58 650,000 ჩეტვერტისა. ამ სახით საქვეყნო ბაზრისათვის თოთხმეტი მილიონი*) ჩეტვერტი პური მეტი ყოფილა იმაზედ, რაც საჭირო იყო. აშკარაა პურის ფასი უნდა დაცემულიყო საქვეყნო ბაზარში; აშკარაა რაგი, ჩვენს სამზღვარ-გარედ ამოდენად მეტი პური იყო, რომ იქაც მუშტარი ვერ ეშოვნა, ჩვენში იქიდამ პურის სასყიდლად არავინ მოვიდოდა 1884 წელს. ამან ძალიან დასწია პურის ფასი ყველგან და ნამეტნავად ჩვენში.

პურის ფასის ძლიერმა დაწევამ ის შედეგი იქონია, რომ ინგლისმა ირჩია საპურედ სახნავ-სათესს მიწებზედ პურის მაგიერ სხვა უფრო ძვირის ფასის მცენარენი რამ მოეყვანა და ამიტომაც ხვნა-თესვა პურისათვის შეამოკლა ისე, რომ ასზედ თოთხმეტი დააკლდა. ამერიკაში პურის ფასის დაწევის გამო ბევრს ადგილას მოსულ ყანები აღარ დამკეს და ისე მიანებეს თავი მინდვრებზედ, რადგანაც მომკისა და გალეწვის ფასადაც არ ჰქონდათ იმედი პური გაეყიდნათ. ინდოეთში 227,481 აკრი**) ნაკლები მიწები მოხნეს და მოთესეს. ამის გამო პურის რაოდენობამ 1885 წ. და ნამეტნავად 1886 წ. ძალიან იკლო და პურმა აიწია, რაკი საქვეყნო ბაზარს პური შემოაკლდა იმ ადგილებიდამ, საიდამაც აქამდე მოსდიოდა პური, რა თქმა უნდა მუშტარი ყველგან დაიწყებდა ძებნას პურისას. ამის გამო პურის მუშტარი სამზღვარ-გარეთიდამ ჩვენშიაც მოვიდა და მას აქეთია პურის ფასი ჰმატულობს.

აშკარაა, ეს მაგალითი და იშვიათი შემთხვევა ჭკუას ასწავლის ინგლისსაც და იმისთანა პურის ბოდაზებსაც, როგორნიც არიან ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია. არას გზით მოსალოდნელი არ არის, რომ, 1885 და 1886 წლებით განსწავლული ინგლისი, ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია, ჩვენ თავის მუშტარს პურისას დაგვითმობს. პირიქით ყოველს ღონეს იხმარებენ, რომ ჩვენი საკუთარი მუშტარიც წაგვართვან. ეს უსაბუთო შიში არ არის და ძალიან ჭკუაზედ ახლოა, თუ კაცი კარგად დააკვირდება მიწათ-მოქმედებისათვის ავ-კარგიანობას ჩვენის ქვეყნის გარედ. ამ საგანზედ შემდეგს ნომერში ზოგიერთს მოსაზრებას წარვუდგენთ მკითხველსა.

ახალი ამბავი

⁂ იმ კონცერტიდამ, რომელიც ამას წინად გამართა წერა-კითხვის გავრცელებელმა საზოგადოებამ, შემოსულა ბილეთების გასყიდვით 879 მან. ამას გარდა ზოგიერთს მეტი მიუცია ბილეთებში. ამ გვარად შემოსულა კიდევ 42 მან. 50 კაპ. სულ შემოსავალი ჰქონია 921 მან. 50 კაპ. აქედამ ხარჯი ყოფილა 228 მან. 80 კაპ. დარჩენილა ნაღდი შემოსავალი 692 მან. 70 კაპ.

მმართველობა წერა-კითხვის საზოგადოებისა მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც დაეხმარა საზოგადოებას და თავისი შრომა არ დაზოგა კონცერტის გამართვისათვის.

⁂ ამავე საზოგადოებამ, როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო გამოცხადებული, გაჰმართა თავის წევრთათვის ბიბლიოთეკა იმ გვარის წიგნებისა, რომელთა შინაარსი ჩვენს ქვეყანას შეეხება. ამ საგნის გამო მმართველობას დაუდგენია მიჰმართოს ყველა წიგნის გამომცემელს, რომ არ დაიშურონ და ორ-ორი ცალი თავის გამოცემულის წიგნისა ამ ბიბლიოთეკას უძღვნან. აი თვით მიმართვა საზოგადოებისა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დააფუძნა თავის წევრთათვის ბიბლიოთეკა ყოველ-გვარის წიგნებისა, რომელთაც საგნადა აქვთ ჩვენის ქვეყნის გაცნობა. ბიბლიოთეკაში ძველი ხელ-ნაწერებიც არის და დაბეჭდილი წიგნებიცა. დაბეჭდილი წიგნები ზოგი ქართულ ენაზეა დაწერილი და ზოგიც უცხო ენებზედ. უფრო ბევრია ძველი ხელ-ნაწერები, რომელიც ბლომად შემოსწირეს ბიბლიოთეკის საზოგადოების თანამგრძნობელთა. სამწუხაროდ, დაბეჭდილ წიგნების განყოფილება არ არის ისე მდიდარი, როგორც სასურველია და ამიტომ მის შესამატებლად და შესავსებლად საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა სთხოვოს ამ წერილით ყველა ქართველ წიგნების ავტორებს და გამომცემლებს, რომ თავიანთის წიგნების დაბეჭდვის და გამოცემისათანავე ორ-ორი ეგზემპლიარი შემოსწირონ ხოლმე საზოგადოების ბიბლიოთეკას. ამით გამომცემლებს და ავტორებს არა დააკლდებათ-რა და ბიბლიოთეკა კი თან-და-თან გამდიდრდება, თუ ამისთანა შემოწირულობა ჩვეულებად მიიღეს ჩვენმა გამომცემლებმა. ყოველ ამისთანა შემოწირულობას საზოგადოების მმართველობა დიდის მადლობით მიიღებს.“

⁂ სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში აქაურნი სცენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას აპირობენ ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდაო.

⁂ ჩვენის რკინის გზის მოხელეთა შორის ხმა არის გავრცელებული, რომ ამ რკინის გზის გამგეობა ჰსურს თვით ხაზინამ იკისროსო. დღეს ამ რკინის გზას, როგორც ვიცით, განაგებს კერძო საზოგადოება და ისეთი პირობა აქვს შეკრული მთავრობასთან, რომ თუ ხარჯი არ ააყენა გზამ, მთავრობამ უნდა შეავსოს დანაკლისი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის ცხვრის და სხვა გვარის საქონლის პატრონთ, რომელთაც ყოველ ზაფხულობით მთებზე მიუდით თავიანთი ფარა საქონლისა, უთხოვნიათ მთავრობისათვის, გზა-ტკეცილზე გავლისათვის ბაჟს ნუ გამოგვართმევთო. გზათა მინისტრს არ შეუწყნარებია ეს თხოვნა. უმთავრესი შემოსავალი გზების გასაკეთებლად ეგ ბაჟი არის და ეგ წყაროც რომ მოისპოს, რა ფულით-ღა უნდა შევკეთდეს გზა-ტკეცილებიო, უთქვამს მინისტრს.

⁂ აქამდე ჩვენში კარტოფილის მოყვანას აგრე რიგად არ მისდევდნენ, რადგანაც კარტოფილის ხმარებას ხალხი არ იყო შეჩვეული. კარტოფილს თუ ხმარობდნენ, უფრო საჭმელად, სხვა დანიშნულება არა ჰქონდა-რა. რუსეთში კარტოფილიდამ ხდიან არაყს და იხმარება კიდევ სახამებლის გასაკეთებლად, რომელიც საჭიროა ჩითებისათვის. ამიტომ რუსეთში კარტოფილი ბლომად მოჰყავთ. ახლა ჩვენშიაც საჭირო იქნება ბლომად მოყვანა კარტოფილისა, რადგან ამ მოკლე ხანში ორი ქარხანა დაარსდება ჩვენში სახამებლისა. ერთი ტფილისში—კუკიისაკენ და მეორე თონეთს ახლო, პრიუტში. ქარხნის პატრონთ განზრახვა აქვთ, რომ სახამებელი განსაკუთრებით აქაურის კარტოფილისაგან აკეთონ.

⁂ ტფილისში ახალ-წლიდგან დაიწყო თოვლა. სამის დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ითოვლა. მეორე დღესვე სამარხილო გზა გაიმართა ტფილისის ქუჩებში. ამავე დროს, როცა ტფილისში ასეთი დიდი თოვლი დასდო, რომ მარხილები სიადვილით დაჰსრიალობენ და დილით თითქმის 8° სიცივეა ხოლმე, ქსანს ზემოდ ქართლში მცირეოდენი თოვლიც არ მოსულა. სომხითისაკენაც, პრიუტს ზემოდ, არა ყოფილა თოვლი, ყარაიის ქვემოდაც სრულიად არ უთოვლია. ტფილისში დიდი ზარალი მისცა ამ თოვლმა ცხენის რკინის გზას. ვაგონები ვეღარ დადიოდნენ. პოლიციამ სრულიად აკრძალა ვაგონების სიარული გოლოვინის პროსპექტზედ და ვერის ხიდის აღმართზედ.

⁂ როტშილდს განუზრახავს აქაური ნავთი გაიტანოს ზღვით ინდოეთში, სადაც ყოველს წელს 10 მილიონი ფუთი ნავთი უნდებათო. ამ ჟამად ინდოეთში ხმარებაშია ამერიკის ნავთი, რომელიც იქ ისყიდება 2 მან. და ათ შაურადა, როტშილდს-კი იქ მიტანა დაუჯდება არა უმეტეს ერთის მანათისაო.

⁂ დღეს ტფილისის კრუჟოკში დანიშნულია ბალი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

⁂ გაზ. „კავკაზსა“ სწერენ ქუთაისიდამ, რომ რადგან აქ კარგა ხანს ჰქროდა ცივი და ძრიელი ქარი დღესასწაულების წინად, ამიტომ ყოველ-გვარი ხორაგეულობა ნაკლებ შემოვიდა. დღესასწაულებში ყველაფერი გაძვირდა: ფუთი სიმინდი ორი აბაზი იყო, სიმინდის ფქვილი—სამი აბაზი, ლეჩხუმის კარტოფილი—ორი აბაზი, ხახვი და კომბოსტო—ათი შაური და სამი აბაზი. გამომცხვარს პურსაც მოემატა ფასი. ურემი შეშა, რომელიც წინად 80 კაპ. ისყიდებოდა, ეხლა მანათ-ნახევრად ისყიდებაო. თევზი სულ ნაკლებად არის, ღვინო უვარგისია და მასთან ძვირიცა, რაც ჰღირდა წინად სამი აბაზი და სამ უზალთუნი, ახლა ექვს უზალთუნი და შვიდ უზალთუნი ჰღირსო. აქამდე ჩვენ მიგვქონდა ღვინო ტფილისისაკენ და ახლა ჩვენში მოაქვთ ტფილისიდამა და გორიდამაო.

ახალ-წელიწადს ისე მიეგებნენ ქუთაურები, რომ თოფის სროლა არ აუტეხიათ, რადგან პოლიციამ აუკრძალა ასეთი გართობაო.

⁂ გუშინწინ, 4 იანვარს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოწვეულნი იყვნენ ახალნი ხმოსანნი ფიცის მისაღებად და ქალაქის თავის ახლად ასარჩევად. 12 საათის ნახევარზედ შეიკრიბა 75-ის მაგიერ მარტო 64 ხმოსანი. ამათგან მართლ-მადიდებელის წესისამებრ ფიცი მიიღო 11 კაცმა, გრიგორიანისა—48, კათოლიკეთა—4 და ლუტერანისა—ერთმა.

ფიცის მიღების შემდეგ თავს-მჯდომარემ მოახსენა ხმოსანთ, რომ მეორე საგანი ამ კრებისა ქალაქის თავის არჩევააო, და ამისათვის ინებეთ კანდიდატების დასახელებაო.

სანამ შეუდგებოდნენ ამ საგანს, ზოგიერთმა ხმოსნებმა სთქვეს, რომ უკეთესი იქნებოდა ჯერ-ჯერობით სამოქალაქო უწყებაში მოსამსახურე პირთა ჯამაგირებზედ მოეილაპარაკოთო. შესაძლებელია, ახალმა საბჭომ დაუკლოს ჯამაგირი ქალაქის თავსაც და სხვებსაცაო; ამისათვის ჯერ შემოსავალ-გასავალზედ ვილაპარაკოთ, განვაწესოთ ჯამაგირები და შემდეგ მოსამსახურე პირთ ამორჩევას შევუდგეთო. ამ აზრისანი იყვნენ ბ-ნნი გარსოევი, კ. ზებუთოვი და ბოლოს მ. თამამშოვიცა, მაგრამ როცა ქალაქის თავმა ეს საგანი ხმის მოკრეფით მოინდომა გადაწყვეტილ ყოფილიყო, ამ სამ პირთ გარდა არავინ არ ისურვა ამაზედ დათანხმება; ამიტომაც შეუდგნენ არჩევანს. ბარათე-

---

*) Англо-Русскій торговый журналъ 1884 г. № 10, გვერ. 226.

**) აკრი იმერულ ქცევაზედ 41 ოთხ-კუთხი საჟენით ნაკლებია.

...ი დასახელებულ იყვნენ შემდეგნი კანდიდატები: ბ-ნი ა. მატინოვი 52 ხმითა, ბ-ნი ხატისოვი—4, ბ-ნი კ. ბებუთოვი—3, ბ.-ნნი იზმაილოვი, ...ბელშტეტი და ევანგულოვი—თითო ხმითა. ყველამ უარი განაცხადა კენჭის ჩამოტარებაზედ, გარდა ბ-ნის ა. მატინოვისა, რომელიც დიდის ხმის უმეტესობით (55—9) ამორჩეულ იქმნა ხელ-ახლად ქალაქის თავად. ბევრის ტაშის-კვრით მიეგებნენ ამ ამორჩევას, როგორც ხმოსანნი, აგრეთვე ...ეშე მაყურებელნიცა.

ბ-ნმა მატინოვმა მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხადა კრებას ამორჩევისათვის და სთქვა, რომ ბევრს ვერაფერს დაგპირდებითო. ჩემი მოღვაწეობა თქვენგან ცნობილია ამ რვა წლის განმავლობაში და მარტო იმის დაპირება შემიძლიან, რომ იმავე მხნეობითა და მეცადინეობით ვიშრომებ ქალაქისათვის, როგორათაც წარსულის რვა წლის განმავლობაშიო. ამით კრება დაიშალა. შემდეგი მორიგი კრება დანიშნულია 12 იანვარს. ამ დღეს იქნება სხვათა შორის გამგეობის ორთა წევრთა არჩევანი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ კვირას, 11 იანვარს, ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში იქნება წლიური აქტი. ამ დღეს დაურიგებენ ატესტატებს 22 ყმაწვილ-კაცს, რომელთაც წელს ეს სასწავლებელი დაასრულეს.

⁂ 3 იანვარს, მე-5 ნაწილში, თამამშევის ქარვასლის პირ-და-პირ, ქირის ოთახებში, მოიწამლა თავი ფოსფორით ეკატერინე მიხეილის ასულმა დუპლიაცკაიამ. მოწამლვის მიზეზის შესატყობრად გამოძიება სწარმოებს.

⁂ 4 იანვარს, მუზეუმის ახლო პატარა ვ. ხიზანოვის სახლებში ცეცხლი გა[illegible] და ცეცხლის-მქრობელმა [illegible]მა გააქრო. სახლი დაზღვეული არ არის. გამოძიება სწარმოებს.

* * *

დამკვირდი!

...ტიოსნება ნამუსია მამა-კაცისა, სათნოება და თავის შენახვა ნამუსია დედაკაცისა. რომელნი უფრო ბევრნი არიან ...ნაზედ? ნამუსიანი მამა-კაცნი, თუ ...სიანნი დედა-კაცნი? ეჰ!.. მახლას!..

(ლეონი)

**

...დომილებას სხვა უფრო საშიშარი მოსარჩლე და მფარველი არა ჰყავს ...თმიან მოხუც გარდა. (ბუასტი)

**

ნუ ააგებ ისეთსა კედელსა, რომელ, ...მაღლდეს, შენვე დაგეცეს.

(ვისრამიანი)

**

რაცა ხელი ავს დასთესავს
აქსავ მოიმკის ბოლოსა.

(მეფე ვახტანგ VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

...ველ დროს რომაელები ამბობდნენ: თუ მშვიდობიანობა გსურს, ...სათვის მოემზადეო. სწორედ ...ე შეიძლება ითქვას ეხლანდელ ...ებაზედაც. ყველას მშვიდობიანობა აკერია პირზე, ყველა ევროპის ...დობიანობის დაურღვევლობაზე ლაპარაკობს, და ამასთან ყველა...ი კი გაცხარებულ მზადებაში ...ან. ეს დროების ნიშანია და ბევრის მომასწავებელიცა.

არასოდეს ისე ბევრს, ისე ხმა მაღლა არა ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე, როგორც ეხლა, ამბობს გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ, როგორც ბევრნი გულუბრყვილოდა ჰფიქრობენ, ვითომ თვითონ სიტყვას „მშვიდობიანობა“ ისეთი ძალა აქვს, რომ „ომის“ სურვილს ცოტად მაინც შეასუსტებს, შეამცირებსო. შეიძლება სხვა მიზეზების გამოც ლაპარაკობდნენ ასე ბევრს მშვიდობიანობაზე, ჩვენ ამის გამოკვლევას არ გამოუდგებით და მხოლოდ იმას კი ვიტყვით და დიდის ხნის გამოცდილებაც უტყუარად გვიმტკიცებს ამასა, რომ როდესაც ყველა მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს, ეს იმის უტყუარი ნიშანია, უთუოდ ომი იქნებაო.

რამდენად მართალია ეს „უტყუარი ნიშანი“, რომელიც გაზეთს შეუნიშნავს, გარდაწყვეტილად ვერას ვიტყვით, გვგონია კი, რომ ძნელად დასაჯერებელი აქ არაფერია, რადგან მთელი ევროპა იმავე დროს, როცა ესე ერთგულად ლაპარაკობს მშვიდობიანობაზე, გაცხარებული ემზადება ომისათვის, თოფ-იარაღს ამზადებს და ჯარებს აძლიერებს.

მაშ რიღის იმედი აქვთ? ნუ თუ მართლა მშვიდობიანობისათვის არის საჭირო ამოდენა აუარებელი ჯარი და თოფ-იარაღი?

⁂

გერმანიისა დიდი იმედი აქვთ, გერმანიას მშვიდობიანობა გულწრფელადა ჰსურსო. რამდენად მართალია ეს აზრი, რამდენად მშვიდობიანობის მომასწავებელია გერმანიის პოლიტიკა,—ამას ცხადად გვიმტკიცებს გაზეთ „Kreuz Zeitung“-ის სიტყვა. ამ ხანებში სამოც-და-ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გერმანიის მოხუცებული იმპერატორი პირველად ჩარიცხეს სამხედრო სამსახურში. ეს დღე გერმანიაში დიდის ამბით და ყოფით იდღესასწაულეს და აი გაზეთი ‹Kreuz Zeitung›-ი ამის გამო სხვათა შორის რას ამბობს:

> მოუსვენარი, დაუცხრომელი მეზობელი ხელ-ახლად კარს გვირახუნებს, გერმანიელის ყურს ხელ-ახლად ესმის მუქარა, თოფ-იარაღის ხმაურობა! ჩვენი მოხუცი გმირი-იმპერატორი გულ-დინჯად ისმენს ყველა ამას, არ უშინდება, სიბერისაგან ჯერ კიდევ ხელი არ აჰკანკალებია, მამაცურად ხმალზე ხელს ივლებს და მზად არის უშიშრად შეებას ყველას, ვინც ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას მოიწადინებს. განა მოიპოვება ისეთი ერი, რომ ალტაცებაში არ მოვიდეს, როდესაც თვალწინ უდგა ასეთი სამაგალითო გმირი, გმირი, რომელიც ასე წმინდად ასრულებს თავის მოვალეობას. მადლობა ღმერთს, გერმანიის ერი ასეთი ერი არ არის, თუ საჭიროება მოითხოვს და გერმანია იძულებული იქნება ერთხელ კიდევ გაემკლავოს მტერს,—ოთხმოც-და-ათის წლის გმირი-იმპერატორი დარწმუნდება, რომ გერმანიელები ეხლაც ერთგულნი არიან და, როდესაც კი იმპერატორის სიტყვა მოიწოდებს მათ, მზად იქნებიან უკან მიჰყვნენ.

ნუ დაივიწყებთ, რომ „Kreuz Zeitung“-ი თითქმის მართებლობის გაზეთია, და მაშინ მიჰხვდებით, რამდენად მშვიდობიანობის მოსურნეა გერმანია.

რუსეთი

პეტერბურგის მე-12 განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს 17 დეკემბერს განუხილავს ერთი შესანიშნავი საქმე, რომელიც საუცხოვოდ გვიხატავს სატახტო ქალაქის სახლის ყარაულების (ДВОРНИКЪ) ზნე-ჩვეულებას. სახლის უფროსს ყარაულს კალცოვს უცემია ერთის გენერლის ცოლისათვის.

აი საქმე როგორა ყოფილა: ნოემბრის ოცში მისულა სახლის ყარაული კალცოვი იმავე სახლში მცხოვრებელ გენერლის ცოლთან და უთქვამს:

— დღეს ჩემი დღეობაა, უნდა მომალოცოთ და მაჩუქოთ რამეო.—განა მე მოვალე ვარ შენი დღეობა გადვიხადოო, უთხრა ქალმა.

— თქვენ გენერლის ცოლი ბრძანდებით... მე თქვენა გყარაულობთ...

გენერლის ცოლმა ერთი მანეთი აჩუქა თურმე.

— როგორ?! მე? უფროსს ყარაულს და ერთს მანეთს მაძლევთ!? ამას იმეტებ იმისთვის, ვინც შენ ერთგულად გყარაულობს?! არა,—შენ გენერლის ცოლი კი არა, მაწანწალა დედა-კაცი ხარ! უზრდელად დაუყვირა კალცოვმა ქალსა და მანეთი კი მაინც ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა.

ნოემბრის 25-ს გენერლის ცოლს, თეატრიდამ რომ დაბრუნებულა, ქუჩის კარებში დახვედრია კალცოვი; კალცოვს ხელი წაუვლია ქალისათვის და კიბის ქვეშ შეუთრევია.

— შენ გეგონა, ერთი მანეთით გადამრჩებოდი?! მე სახლის უფროსი ყარაული ვარ, შენი დამცველი... მომეცი ამ საათში სამი მანეთი!.. მე ასეთი წესი მაქვს! ყველამ, ვინც ამ სახლში დგას, ჩემს დღეობას უნდა საჩუქარი მომცეს... ეხლავ ამოიღე სამი მანეთი, თორემ დაგახრჩობ!

— ხვალ მოდი და მოგცემო,—უპასუხნია ქალსა.

— არა, ეხლავ უნდა მომცე!

— ეხლა ფული თან არა მაქვს.

უფროსს ყარაულს ამ სიტყვებისათვის ყური არ მიუგდებია, ფეხ-ქვეშ ჩაუგდია საწყალი ქალი და დაუწყვია ცემა.

— უმაწვილს მუცელში გაგიწყვეტ, თუ ეხლავე სამ მანეთს არ მომცემო (ქალი ფეხ-მძიმედ ყოფილა).. ქალის კივილზე ხალხი მოგროვილა და „ერთგული“ უფროსი ყარაული პოლიციაში წაუბძანებიათ.

აი ეს შემაძრწუნებელი საქმე ყოფილა ამ დღეებში სასამართლოში გასარჩევად.

— თქვენ რა ნება გქონდათო, უთქვამს მსაჯულს კალცოვისათვის, რომ მდგმურებსა სცემო და თითქმის მოსაკლავადაც არ ინდობო. ციხეში ჩაგსვამ, ქალაქიდამ სრულიად გაგაგდებო.

— მეც ვიცი, რომ კაცის მკვლელობისათვის ციმბირში გამგზავნიდნენ. მე მოკვლა არ მინდოდა, მე მარტო საჩუქარსა ვთხოვდი,—უპასუხნია ყარაულს.

— მაშ შენ შენს თავს დამნაშავედაც არა სთვლი? ჰკითხა მოსამართლემ.

— არა,—მე ამისთანა წესი მაქვს: ჩემს დღეობას ყველა მდგმურმა უთუოდ საჩუქარი უნდა მომცეს.

— მე შენ შენის წესებით ციხეში გაგზავნიო, — უპასუხა მოსამართლემ, ეხლავე ბოდიში მოიხადე და შეეხვეწე, რომ გენერლის ცოლმა გაპატიოს.

— რათა? მე ჩემი წესდება მაქვს და ამ წესდების ძალით ვიქცეოდი.

კარგი წესდებაა,—მდგმურების ცემატყეპა! ნეტა ვინ დაუმტკიცა ‹უფროსს ყარაულს› ეს წესდება? ცხადია, რომ თვით ბ-ნ კალცოვს შეუთხზავს ეს უცნაური „წესდებულება“.

მოსამართლემ, რასაკვირველია, არ შეუწყნარებია კალცოვის თავის-მართლება რაღაცა წესდების ძალით და ორის თვით ციხეში დაპატიმრება გადუწყვეტია.

უცხოეთი

ბოლგარია. როგორც ვიცით, ოსმალეთმა ნოტა დაურიგა დიდთა სახელმწიფოთ და სთხოვა, მორიგდით როგორმე ბოლგარიის საქმის გამოო. ეხლა „ჰავასის სააგენტოს“ სიტყვით, ამ ნოტის პასუხად ლორდ იდდესლეის უთხოვნია უაიტისათვის: ოსმალეთს გარდაეცით, რომ ინგლისი თანახმაა მოელაპარაკოს დიდთა სახელმწიფოთ ბოლგარიის საქმის გამო. ჩემის აზრითაო, უთქვამს ლორდ იდდესლეის, ჯერ უნდა რიგიანად მოვილაპარაკოთ და მერე ისე გარდავსწყვიტოთ მთავრის ამორჩევის საქმეო. რაც შეეხება სამეგრელოს თავად ნიკოლოზის კანდიდატობას ბოლგარიის სამთავრო ტახტისას, ეს ამბავი ისე ცუდად მიიღეს ბოლგარიაში და ისეთნი წინააღმდეგნი არიან, რომ ინგლისი ვერ იკისრებს და ვერ ურჩევს ბოლგარებს, სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოირჩიეთ უეჭველადაო.

— „Pesther Lloyd“-ი ამბობს, რომ ბოლგარიის დეპუტაცამ, როცა ლონდონში იყო, რვა მილლიონი მანათი ისესხა ბოლგარიისათვისაო.

— სოფიიდგან ვენაში ამბავი მოსულა, ტირნოვოში ემზადებიან და განზრახვა აქვთ, დიდი საერო კრება მოიწვიონო.

საფრანგეთი. საფრანგეთის გაზეთებს დიდი ლაპარაკი და ბაასი აქვსთ ამ ჟამად. ამა გაავრცელეს, რომ გრევის განუზრახავს სამსახურს თავი დაანებოს და ამასთან, როცა პალატას გამოუცხადებს თავის განზრახვას, სთხოვს, რომ ფრეისინე ამოირჩიეთ რესპუბლიკის პრეზიდენტადაო. ამბობენ, ვითომ, ამას წინად ომ გრევი, ფრეისინე და ფერრი ერთად შეიყარნენ და მოილაპარაკეს, მაშინ გარდასწყვიტეს ეს ამბავიო. იმასაც კი ამბობენ, რომ ახალს კაბინეთში გენერალი ბულანჟე არ იქნებაო. თუმცა ძნელად საფიქრებელი-კია, რომ მართალი იყოს ეს ამბავი, რადგან ბულანჟეს დიდს პატივს სცემს საფრანგეთის ერი. მაგალითებრ, ახალ-წლისადს დღეს დიდის ამბით მიულოცნიათ ბულანჟესათვის დღესასწაული. რესპუბლიკის პრეზიდენტი გობლეთურთ წასულა სადარბაზოდ სენატის პრეზიდენტებსა და პალატის დეპუტატებთან. მეორე ეტლში მჯდარა სამხედრო მინისტრი ბულანჟე და გრევის ადიუტანტი პოლკოვნიკი ლიხტენშტეინი. როდესაც გრევის გაუვლია ქუჩაზედ თავის ეტლით წინ, ხალხი გარინდებული მდგარა, ბულანჟეს დანახვისთანავე-კი ხალხში ჩოჩქოლი ჩამოვარდნილა და ხმა-მაღლა დაუწყვიათ ყვირილი: „გაუმარჯოს საფრანგეთის ჯარს! გაუმარჯოს ბულანჟესაო!“ ესეთი ალტაცებით მიღება უეჭველია აწუხებს ბულანჟეს და აავიწყებს შეურაცხყოფას გაზ. ‹Rèpublique Française›-სას რომელიც ამას წინად დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ბულანჟეს, მას შემდეგ რაც სამხედრო მინისტრია, არაფერი არა გაუკეთებია-რაო. ყველა ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ამ მოკლე ხანში საფრანგეთში ორი ახალი მოპირ-და-პირე დასი შესდგება: ერთი ფრეისინესი და ფერრიეს დასსი და მეორე—ბულანჟესი და კლემანსოსი და ამ დასებს ერთმანერთში დიდი ბრძოლა და შეტაკება მოუხდებათ.

ბელგია. ბელგიის კოროლს გამოუცხადებია, რომ თუ დეპუტატთა პალატა სამხედრო კანონ-პროექტს ერთ-ხმად არ მიიღებს, პალატას დავითხოვ და ახალს შევადგენო.

ჩვენი სისუსტე

წარსულის წლის უკანასკნელს ნომერში „ივერიამ“ დაბეჭდა ცნობანი შესახებ იმისა თუ,—რამდენი ხელის-მომწერი ჰყავდა წლის განმავლობაში საზოგადოდ და საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ კერძოდ. ეს საინტერესო ცნობები ფრიად საყურადღებოა ორივე მხრივ: საზოგადოდ იმიტომ, რომ გვიხატავს ჩვენის ქვეყნის გონების მოძრაობის ხარისხსა,—კერძოდ იმიტომ, რომ გვიჩვენებს, რომელი კუთხე საქართველოსი უფრო უკანა რჩება განათლებასა და რომელი უფრო წინ მიჩანჩალებს. დავიწყოთ კერძოსაგან და გადვიდეთ ზოგადზედ.

ყველაზედ მცირე რიცხვი მკითხველებისა ივერიას ჰყოლია თავის რედაქტორის სამშობლოში —კახეთში. რადა? იქნება იმ მიზეზის ძალით, რომელიც გამოიხატება სახარების სიტყვებით: არა აქვს პატივი წინასწარმეტყველსა სამშობლოსა შინა? მაგრამ სიმცირე კახელის ხელის-მომწერლებისა ყველა სხვა ჩვენებურს პერიოდულის გამოცემაზედ გვიჩვენებს, რომ აქ მოქმედობს საზოგადო, შინაგანი მიზეზი და არა კერძო, გარეგანი შემთხვევა. ამასვე ემოწმება ის უეჭველი ამბავი, უკვე ბეჭდვით გამოქვეყნებული, რომ კახეთი შედარებით სხვა კუთხეებთან იბარებს ბევრით ნაკლებს რიცხვს როგორც საკოლო სახელმძღვანელოებისას, ისე ყოველგვარის წიგნებისას. ცხადია, რომ ამ ჟამად გონების მოძრაობა კახეთში სუსტია ძლიერ.

როგორ მოხდა ესა? რამ შეასუსტა და რამ [illegible] განათლებისადმი მისწრაფებას იმ ქვეყანაში, რომელიც წინანდელს საუკუნოებში მესვეური იყო მთელის საქართველოსი, რომელსაც მეთორმეტე საუკუნეში ჰქონდა გამართული უმაღლესი სასწავლებელი იყალთოში, სადაც მიეშურებოდა ყოველი ქართველი, მეცნიერებით გატაცებული და სადაც თვით რუსთველმა, მესხეთიდამ მოსულმა, შეასრულა სწავლა? რამ დასცა განათლება იქ, სადაც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მძვინვარე ბარბაროსობამ სპარსეთისამ და ლეკებისამ ვერ ჩააქრო ლამპარი სწავლისა და სადაც წარსულის საუკუნის დამლევსაც არსებობდა საუკეთესო სასწავლებელი მთელის საქართველოისა—სასულიერო სემინარია, თავის ფრიად შესანიშნავის რექტორებით—გაიოზით, დავითით და სხვებით?.. ჩვენ ეხლა ამის გამოკვლევას ვერ შევუდგებით და წინ ვადგენთ ამ საკითხავს იმ განზრახვით, რომ კახეთის განათლებულმა დასმა იფიქროს ამაზედ, მოუნახოს სათავე ადგილობრივს სენსა და სამკურნალო მალამო დასდოს.

შესანიშნავია აგრეთვე და დასაფიქრებელი ის ამბავიც, რომ ქუთაისის გუბერნია ხელ-მომწერთა რაოდენობით უკან ჩამორჩომია ტფილისისას. წინედ ასე არ იყო და ჩვენის ლიტერატურისადმი სიყვარულით იმერეთს პირველი ადგილი ეჭირა. საკვირველიც არ იყო, რადგანაც იმერეთი მთლად ქართველია და ორას-სამასის ათას ქართველით სჭარბობს აღმოსავლეთის საქართველოსა. შედარებითი სიმცირე ხელის მომწერლებისა ლიხის მთის იქით რომ გამართლებული ამბავი იყოს, მაშინ ეს

ეროვნული

მოვლენა კერძო თვისებისა იქმნებოდა და აიხსნებოდა იმითი, რომ იმერთ არაფრად ეპიტნავებათ ახლანდელი ჩვენი ყოველ-დღიური გაზეთი. მაგრამ სხვა საბუთებიც მოწმობენ იმერთა უკან ჩამორჩომას უკანასკნელს წლებში და აქ დასახელებულს მოვლენას აძლევენ საზოგადო თვისებასა. მაგალითად, წიგნები ხუთიოდე წლის წინედ ბევრად ნაკლებად ისყიდებოდა ტფილისის გუბერნიაში, ვიდრე ქუთაისში,—თითქმის ორი წილი სხვა-და-სხვა გამოცემათა იქით იფინებოდა და ერთი წილი აქედ. ახლა კი ამერნი არამც თუ დაეწიენენ იმერთა, წინაც გაუსწრეს და მათზედ ბევრით მომეტებულს წიგნებს თხოულობენ და ყიდულობენ. ქუთაისის განათლებულმა დასმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაპყროს ამ ამბავსა, თორემ, სხვა არა იყოს-რა, გაცრუვდება წინასწარმეტყველება რამდენისამე წლის წინედ ზოგიერთა იმერთაგან წარმოთქმული დიდის რიხიანობით: „მზე აღმოსავლეთიდამ ამოდისო“.

შემდეგ მკითხველი შეიძლება ძლიერ დაანაღვლიანოს იმ ცნობამა, რომ სამეგრელოს განაპირა ქალაქს ზუგდიდში ხელის მომწერი ან სრულიად არა ჰყოლია **ივერიასა** და ან თუ ჰყოლია, იმდენად მცირედი, რომ სათქმელად არა ღირებულა. დიახ, ფრიად დამაღონებელი იქნებოდა ეს ამბავი, რომ იგი არა ქარწყლდებოდეს საზოგადო მოვლენითა. საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქი ზუგდიდი, დაბა ხონიეთ, დიდს-ძალს ქართულს წიგნებს თხოულობს. ამ განაპირა ქალაქში ქართულ წიგნებით ვაჭრობს არა ერთი და ორი მაღაზია, არამედ ექვსი და შვიდი. ზუგდიდის ვაჭრები ასობით და ორასობით იბარებენ ქართულს სახელმძღვანელოებსა და ისე წიგნებსა და სწრაფად ასაღებენ. დიდი და პატარა თურმე ძლიერ ეტანება ამ გონებრივს საზრდოსა. საქმე იქამდის არის მისული, რომ თვით ბატონის აშორდიის პაწია მოწაფეებსაც-კი პირველივე წლის განმავალობაში ქართული წიგნი შინად უსწავლიათ, თუმცა მათს მასწავლებელს არამც თუ ქართული წიგნი, ქართული სიტყვაც არ გაუგონებია მთელის წლის განმავლობაში... მაშ რითი უნდა ავხსნათ ზუგდიდელების გამოკლება „ივერიის“ ხელის მომწერთა შორის? ან იმითი, რომ ძლიერ ცოტა სცხოვრობს იქ განათლებული პირი და ან იმითი, რომ ეს განათლებულნი იქნება ეკუთვნიან მიზანტროპების დასსა, ქვა მიუგდიათ ქვეყნიერობისათვის და გერმანიის პესიმისტის ჰარტმანისაეთ **ნარჯანაში** ჩაყურჭუმელაობას ნატრულობენ. მაგრამ მიგვინდია ამის გამოკვლევაც ადგილობრივ წელთა აღმწერთათვის...

რაოდენადაც ზუგდიდს გული დაუკლია ჩვენის ლიტერატურისათვის, იმდენად უნუგეშებია მეორე განაპირის ქალაქს, ახლად შემოერთებულს—ბათუმსა. მას თითქმის იმდენივე ხელის-მომწერი აღმოუჩენია **ივერიისათვის**, რამდენიც კახეთის თვალს—თელავსა. მაგრამ მკითხველი ძლიერ შესცდება, თუ ამ სიკეთეს ცოტაოდნად მაინც მიაწერს ბათუმის ქართულს სკოლასა,... თვით მასწავლებელი ამ სკოლისა ბ-ნ ნათაძე ხელს მოგვიწერს იმ აზრზედ, რომ მისდამი მინდობილს სასწავლებელს ჯერედ არც ერთი მკითხველი არ შეუძენია ჩვენის ლიტერატურისათვის, თუმცა თვითონ სკოლა საუკეთესოა და ჰყავს ძალიან მარჯვე ოსტატი. სამწუხაროდ, ამ ლამაზს ამბავს ცუდი მეზობელი ჰყავს. თელავისავით ბათუმიც ძლიერ ნაკლებად თხოულობს ქართულს წიგნებსა და ეს ბევრით წარმოსდგება იქიდგან, რომ ამ ქალაქში არც ერთი მაღაზია არა ვაჭრობს ქართულის წიგნებითა. ბათუმმა რომ ზუგდიდიდამ აიღოს მაგალითი, ურიგო არ იქნება.

დასავლეთიდამ უკან დავბრუნდეთ და ვინახულოთ შუა-გული საქართველოსი—ქართლი. ხშირად იხარჯებოდა და ახლაც იხარჯება მკვახე-მკვახე სიტყვები ქართლელების შესახებ. ზანტი ხალხია, სიცოცხლეს მოკლებული და ცუდაობა უყვარსო. მართალია, ხან-დის-ხან ისიც წამოსცდებათ ხოლმე, რომ თუ ქართლელი დაიძრა და გაიწია, ველარავრით შეაჩერებ და თავის გულის წადილს უთუოდ მიეწევაო. მაგრამ ეს ისე ხილად გვესმოდა და კილვა-კიცხვა-კი ქართლელებისა ბევრს პირზედ ეკერა და აკერია. რა პასუხს აძლევენ ქართლელები თავის ულმობელთა მკიცხველთა? სიტყვით არაფერსა და საქმით კი აი რასა: ყველა კუთხეებზედ მეტს ხელის-მომწერელს აღმოუჩენენ ხოლმე ყოველს რიგიანს პერიოდულს გამოცემას, როგორც „ივერიას“ აღმოუჩინეს ერთი-ორად და სამად მეტი, ვიდრე კახელებმა და ქიზიყელებმა ერთად,—შედარებით მომეტებულს წიგნებს იბარებენ და ამასთან სასწავლებლებში ჰგზავნიან იმდენს ბავშვებს, რომ ტფილისის გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში ერთს კახელზედ მოდის ორი-სამი ქართლელი. ამითაც არა თავდება ქართლელების მიზიდულობა სწავლისა და ლიტერატურისადმი. მაშინ, როდესაც ლიხის მთის იქით ლაპარაკიც ვერ გაუბედნია თავად-აზნაურობას სასკოლო ხარჯის გაწერაზედ, მაშინ, როდესაც კახეთისა და ქიზიყის თავად-აზნაურობა იმეტებს მხოლოდ რაღაც საცოდავს ორი-ათასს თუმანს თავისავე შვილების აღსაზრდელად, ღარიბი ქართლელი კეთილშობილობა კისრულობს ოცი-ათასის თუმნის შეტანას საზოგადო სასკოლო კასსაში. თუ კიდევ გნებავთ იმისი საბუთი, რომ ქართლელები მაღლა სდგანან თავის რეპუტაციაზედ, სახელზედ, მოგახსენებთ კიდევ ერთს საყურადღებო ამბავს: ამ ჟამად რუსეთის უნივერსიტეტებში შვიდი ქართველია პროფესორად: მოხუცი ჩუბინაშვილი, თარხნიშვილი, ცაგარელი, ოქრომჭედლიშვილი, პეტრიაშვილი, მელიქიშვილი და თარსაიძე. თითქმის ყველანი ესენი ქართლელები არიან და უწარჩინებულესი მათგანი, რომელსაც ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მთელის რუსეთის პროფესორთა და მეცნიერთა შორის, შიგ შუა-გულის ქართლიდამ არის. სასურველია, რომ ფეხ-ადგმულმა ქართლელმა თავისი ნაბიჯი განათლებისადმი გააჩქაროს და განამტკიცოს.

მაგრამ... საქმე ის გახლავთ, მკითხველო, რომ თუ ცოტაოდნად სჯობიხარ შენს დაცემულს მეზობელსა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიცოცხლით სავსე ხარ და აყვავების გზაზე სდგეხარ. ძალიან შესაძლებელია, რომ შენც თითქმის იმისთანავე სავალალო და სამტირალო მდგომარეობაში იყო, როგორშიაც არის შენი საპყარი მეზობელი. სწორედ ამ სავალალო მდგომარეობაში ვართ ამ ჟამად ქართველები საზოგადოდ. რომ ამ დასკვნამდის მივიდე, საკმარისია ცოტა ხნობით შეაჩერო შენი გონება იმ ცნობებზედ, რომელიც **ივერიამ** განუზიარა თავის მკითხველებსა შესახებ ხელის-მომწერთა რაოდენობისა, და ამასთან მოიგონო სხვა ქართული პერიოდულის გამოცემების სამწუხარო ბედი... **ივერიის** ცნობებიდამ სჩანს, რომ მას შარშანდელის წლის განმავლობაში ჰყოლია მხოლოდ ექვსასი ხელის-მომწერელი. მართალია, „დროებას“ ასის ხელის-მომწერით ნაკლები ჰყავდა, მაგრამ ეს ამბავი მაინც ძლიერ დამაღონებელია.

ივერია ამ ჟამად არის არამც თუ ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზეთი ქართულს ენაზედ, არამედ თითქმის მარტოდ-მარტო წარმოადგენს ჩვენს პერიოდულს ლიტერატურასა. მას არა ჰყავს მოცილედ არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჟურნალი და არც რაიმე სპეციალური გამოცემა. ქართველის მკითხველების რიცხვი არ იყოფება და იგი შემოკრებილია თითქმის მთლად ერთად-ერთის გამოცემის გარშემო. და აი ამ ერთად-ერთს წარმომადგენელს, გამომხატველს ჩვენის გონების მოქმედებისას და ინტერესებისას გააჩნია თავის ბედზედ მხოლოდ ექვსასი მკითხველი.

ექვსასი მკითხველი სამშობლო ლიტერატურისა ხალხში, რომელსაც ჰქონია იმისთანა ბრწყინვალე დრო, როგორც მეთორმეტე საუკუნე, ჰქონია ლიტერატურა, შემდგარი ყოველ-გვართა სამეცნიერო თხზულებათაგან, და რომელსაც ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს მთელი გუნდი მრავალ-ნიჭიერ პოეტებისა?! რას გააწყობს რაოდენიმე ასი ცვარი წყლისა უდაბურს სახარაში? რა სულის ჩადგმა შეუძლიან ლიტერატურისათვის ამ პაწია გუნდს მკითხველებისასა.

მახლობელი წარსული ჩვენის ლიტერატურისა უფრო კიდევ აშავებს ამ შავს ფიქრსა. თვალ-წინ გიდგება ხანგრძლივი სულის ბრძოლა „ცისკარისა“, მოკლე, ძლიერ მოკლე სიცოცხლე **საქართველოს მოამბისა**, **მნათობისა**, **კრებულისა**, **შრომისა**, **იმედისა**, **ნობათისა**. ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიკიდა მაგრა ფეხი ჩვენში, ვერ გახდა საცხოვარ მოთხოვნილებად საზოგადოებისათვის, ვერ გაალხო ყინული საზოგადო გულგრილობისა. თვითეული მათგანი წარმოადგენდა ორანჟერეის მცენარესა, ითხოვდა ძიძას, სათუთო მოვლას, ოთახის სითბოს და მოკლებული იყო ნამდვილს ძალ-ღონეს არსებობისათვის ბრძოლისა საზოგადო ასპარეზის ტრიალს მინდორზედ. თვითეულს მათგანზედ გამოჭრილი იყო ერთის რუსის პოეტის სიტყვები: не разцвѣлъ и отцвѣлъ. შედარებით უკეთესი ბედი ჰხვდა ყოველ-დღიურს გაზეთს, „დროებასა“; მაგრამ ამ გამოცემამაც თავის უკანასკნელს რედაქტორს ერთგულება იმითი გადაუხადა, რომ რვა-ასი თუმანი კისერზედ მოახვია. გაზეთმა რომ ოცი წელიწადი იმოქმედოს და ბოლოს, შრომის დაჯილდოების მაგივრად, თავის მოღვაწეთ ვეებერთელა ვალი თავს დაადვას—მეტი-ღა დამტკიცება გინდა საზოგადოების გულ-ცივობისა სამშობლო ლიტერატურისადმი!

თუ მწიგნობრობას გადავავლებთ თვალსა, აქაც იგივე უნუგეშო სურათი დაგვხვდება წინა. გარდა ორიოდე სახელმძღვანელოსი, გასავალი ყოველ-გვარი წიგნებისა ჩვენს საზოგადოებაში იმდენად მცირეა, რომ იშვიათი გამოცემა არ ითხოვს ავტორისაგან, უანგარო ჯაფის გარდა, ქონებითსა მსხვერპლსაცა! გამოსცემს რომელიმე ავტორი სამასიოდე ეგზემპლიარს თავის თხზულებისასა, დაადებს ძლიერ იაფს ფასსა, იმედოვნებს, რომ ერთი-ორის წლის განმავლობაში მაინც გაიყიდებაო,—მაგრამ გადის ათი წელიწადიც და მისი გამოცემაც ლპება მაღაზიებში და გულს უწყალებს პატრონსა... მოდი ამისთანა მდგომარეობაში და შეირჩინე ლიტერატურული უნარი, წყურვილი სამშობლო ლიტერატურის აღორძინებისა!

მაგრამ იქნება ამისთანა დადამბლავება სამშობლო ლიტერატურისა, მისი მიმკვდარება აუცილებელი ხვედრია ყველა მეორე-მესამე ხარისხის ხალხისა და სხვებთან ერთად აქ ჩვენზედაც მოქმედობს საზოგადო ულმობელი კანონი?.. გადავავლოთ ერთს წამს თვალი სხვა ქვეყნებსა და დავრწმუნდებით, რომ არავითარი საზოგადო კანონი არ ამართლებს ჩვენს გულ-აცრუებას სამშობლო ლიტერატურაზედ.

ჩვენ მაგალითად არ წამოვაყენებთ საბერძნეთისა და სერბიისა ლიტერატურის აღორძინებასა, არ გავიხსენებთ არც ავსტრიის სლავიანების და სხვა ხალხების გონების მძლავრს მოძრაობასა, ამათში შესაძლოა კაცმა ლიტერატურის აღორძინება სხვა მიზეზს მიაწეროს. ასე გასინჯეთ, არც პატარა უელსს დავასახელებთ, იმ პატარა ქვეყანას კელტებისას, რომელიც მიკუნჭულია ინგლისის დასავლეთის ერთს ნახევარ-კუნძულზედ და რომელიც არამც თუ თვითონ მხნედ მუშაობს სამშობლო ლიტერატურის და მწიგნობრობის აღორძინებისათვის, თვით ინგლისელებსაც კი აყვარებს თავის ლიტერატურას იმდენად, რომ წიგნები უელსულს ენაზედ შემდგარია ნახევრობით ინგლისელებისაგან. ჩვენ მივმართავთ სულ უმცროსს ტომთა, რომელთაც არსებობის კიბეზედ უკანასკნელი საფეხური უკავიათ. აქ გავიცნობთ ჩვენთვის ძლიერ სამარცხვინო სურათსა.

ბალტიის ზღვის პირად სცხოვრობს ერთი პატარა ერი, სახელად ლატიშები ჰქვიან და რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომია. რიცხვით იგი საქართველოზედ კიდევ მცირეა და თვალი აახილა მხოლოდ ოციოდე წლის წინედ. წინანდელს დროში მას არა ჰქონია არც ჟურნალ-გაზეთობა, არც ლიტერატურა და არც საზოგადოდ მწიგნობრობა. თვითონ ბეჭდური სიტყვა ლატიშურს ენაზედ მხოლოდ ამ საუკუნის ნახევარში დაიბადა. როგორ გგონიათ, ეს პატარა ხალხი რამდენს პერიოდულს გამოცემას აწარმოებს? არა ერთსა და ორსა, არამედ შვიდსა. და როგორ აწარმოებს? ეს გამოცემანი სრულიად უზრუნველ-ყოფილნი არიან მკითხველის საზოგადოების მხრივ და ჯეროვნად აჯილდოებენ მოღვაწე ლიტერატორებს როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივ.

ჩაიდგეთ სულ ქვემოდ რკინის სახელმწიფოში—პრუსიაში სცხოვრობს ერთი პაწია სლავიანის ტომის ერი, სახელად ლუჟიჩელები. მათი ქვეყანა სწორედ გორის მაზრის ოდენა იქმნება და მცხოვრებთა რიცხვით ამ მაზრას ვერ აღემატება, რადგანაც იპყრობს მხოლოდ 15,000 სულსა; ესე იგი საქართველოს ერთს მეათედს ნაწილსა. იგი მხნედ, შეუპოვრად ცდილობს აღორძინოს თავისი პატარა ლიტერატურა, ააყვაოს და მტკიცე წარმატების გზაზედ განამტკიცოს. საუკეთესო ღონის-ძიებად ამ გულის წადილის მიღწევისათვის მას მიაჩნია ჟურნალ-გაზეთობის გაძლიერება სამშობლო ენაზედ. ამ ჩვენის ერთის მაზრის ოდენა ქვეყანას ამ ჟამად აქვს ხუთი პერიოდული გამოცემა, რომელთაც საკმარისი ხელის-მომწერი და შემოსავალი აქვთ და რომელთაც მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობა საზოგადოება.

რადგანაც ლუჟიჩელები ათჯერ მცირენი არიან ჩვენზედ რიცხვით, ამიტომ, ჩვენ რომ იმათოდენა სიყვარული გვქონოდა სამშობლო ლიტერატურისა, სწორედ ორმოც-და-ათი პერიოდული გამოცემა უნდა გვეწარმოებინა. ამის მაგიერ რასა ვხედავთ? სრულიად მოკლებული ყოველ თვიურს ჟურნალს, ჩვენ დავრჩენილვართ ერთად-ერთს ყოველ-დღიურის გაზეთის ამარად და იმასაც იმოდენა თანაგრძნობას ვერ ვუჩენთ, რომ რედაქტორმა, თავისი უანგარო შრომის გარდა, თავის ჯიბიდამ მაინც არა მოგვახმაროს რა, და თანამშრომელნი, ყოველ დღე ოფლის მღვრელნი, იღებდნენ იმდენს მაინც, რომ თავი ირჩინონ.

დიაღ, როდესაც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გონების მოთხოვნილება უპირველესად ყოვლისა კმაყოფილდება, როდესაც იქ წიგნებისა და გაზეთების კითხვა ისეთსავე საჭიროებად მიაჩნიათ, როგორც სადილის ჭამა, როდესაც იქ სრულ ადამიანად თავის თავს მაშინა სთვლიან, როდესაც ყოველ დღე მისდით რაიმე პერიოდული გამოცემა და ამ გზით ებაასებიან თავის მწერლებს, და როდესაც იქ ყოველი შეგნებული კაცი თავის წმიდა მოვალეობად სთვლის თავის წრეში გაავრცელოს პატივისცემა მის მიერ ამორჩეულის გამოცემისა და უმრავლოს ხელის მომწერლები, ჩვენში ჭკუის საზრდოება, გონებაზედ ზრუნვა სრულიად მივიწყებულია, შეუცილებლად სუფევს კუჭი და სხვა ამ გვარი დაბალი მოთხოვნილებანი. ქართველი კაცი ან არ იბარებს ქართულ გამოცემათ და თუ იბარებს, კითხულობს უწადილოდ, ზანტად, უინტერესოდ, თითქო უსიამოვნო ვალს ასრულებსო, და აზრადაც არ მოსდის, რომ ამ გამოცემის თანაგრძნობა და სიყვარული დაბადოს და გააძლიეროს თავის გარემო წრეში და ამითი დაეხმაროს სამშობლო ლიტერატურის წარმატებასა და აღორძინებასა.

რა მიზეზი აღამბლავებს ჩვენში სამშობლო ლიტერატურის მოძრაობასა და მისდამი თანაგრძნობასა?

იქნება ყველაფერი ეს არის შედეგი ქართველთა ერის უნიჭობისა?..

ამისთანა შემთხვევაში ერის წარსულს დაეკითხებიან ხოლმე და იქა ცდილობენ ამოიკითხონ უტყუარი პასუხი. რა პასუხს იძლევა საქართველოს ისტორია?

ქართველის ერის მეზობლად მცირე აზიაში წინანდელს დროში ესახლნენ ბევრნი ხალხნი, რომელთაც ჰქონდათ თავისი განსაზღვრული ადგილიც, ენაც, ლიტერატურაც და ქრისტეს სწავლითაც იყვნენ განათლებულნი. სად არიან ეხლა ეს ხალხნი? რა იქნენ პერგამელნი, კაპადოკიელნი, ლიდიელნი და სხვანი? ხანგრძლივს ბრძოლას ულმობელს მტრებთან ვერ გაუძლეს, დაჰკარგეს სამშობლოც, ენაც, ლიტერატურაც, ქრისტეს რჯულიც და და-

ნიაღნენ. იგივე ულმობელნი მტერნი დაესხმოდნენ ხოლმე თავს ჩვენს ქვეყანასა და უნდოდათ იგი სხვებსავით შეემუსრათ და ჩაეყლაპათ, მაგრამ ქართველმა ერმა და მხოლოდ მან მცირე აზიაში, თავი გაიტანა და სამი უძვირესი საუნჯე ეროვნობისა მტკიცედ დაიცვა: დაიცვა სამშობლო ადგილი, დაიცვა ენა, განვითარებული და კულტურულის ენების სიმაღლემდის აყვანილი და დასასრულ, დაიცვა თავის შო-[illegible]ის—ქრისტეს ალსარება. ამ საუნჯეთა დაცვა მთლიანად ვერ მოახერხა თვით ძლიერმა და ოსტატმა სომხის ერმა. დიდი ხანია ნათქვამია: ხე ნაყოფით იცნობებისო. იმ ნაყოფთ მოსხმისა და დაცვისათვის, რომელიც ეხლა დავასახელეთ, საკმარისი არ იყო მარტო ვაჟკაცური მარჯვენა, ელვარე ხმალი და ბასრი ხანჯალი. ამაზედ უფრო საჭირო იყო გამჭრიახი ჭკუა, შორს გამჭვრეტი გონება.

ეს ძლიერ ბნელი და რთული კითხვაა და მოინდომებს განსაკუთრებულს წერილს, რომელსაც ჩვენ მკითხველს წარვუდგენთ მოკლე ხნის განმავლობაში..

იაკობ სვიმონიძე

დეპეშა

5 იანვარს

პეტერბურგი. დირექტორი სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტისა ტერნერი დაინიშნა ფინანსთა მინისტრის ამხანაგად.

რომი. დღეს დილით მოვიდნენ აქ ბოლგარიის დეპუტატები; არავითარი თანაგრძნობა არ გამოუცხადებიათ და არავითარის ამბით არ მიჰგებებიან.

ურჯევო. ბოლგარიის მმართველ- შესდგომიან შეჭურვას გუნდები- ამ აზრით, რომ არეულობა მოახდინონ ბოლგარიაში. შემლებულნი ქალაქენი ემზადებიან სამზღვარგარედ გაიქცნენ.

მოსკოვი. გუშინ დიდი ამბით ... ყოფით გაიმართა „რუსთა ექიმების საზოგადოების“ კრება. კრებაზე ესწრნენ: გენერალ-გუბერნატორი, სასწავლო ოლქის მზრუნველი, პროფესორები, ექიმები და დიდ-ძალი გარეშე ხალხი. კრების მმართველობის თავს-მჯდომარე პროფესორი სკლიფასოვსკი მიესალმა კრებას, სიტყვა უთხრა და გამოუცხადა, რომ ამ კრების საპატიო თავმჯდომარედ ამორჩეულია სამხედრო-[illegible] აკადემიის პროფესორი პა[illegible]ჰინი და საპატიო მდივნად კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ხოტი-[illegible]. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს: პროფესორმა ბისტროვმა ზოგიერთ [illegible]მდებ სნეულებათ მიზეზების შესახებ და პროფესორმა კავალევსკიმ [illegible]ით ავად-მყოფების მდგომარეობაზედ რუსეთში. კრების განყოფილებათა სხდომა 11 იანვრამდინ გახ-[illegible] ვიდრე კრება დაიშლება, გა-[illegible]ნილი იქნება სხვა-და-სხვა ხელ- და საექიმო იარაღები, [illegible] ექიმებს შეეძლოთ ამათი გა-[illegible]ვა და შესწავლა.

[illegible]დეს საპოლიტეხნიკო მუზეუმში [illegible] დაიწყებს ხუდით-ავად-მყოფე-[illegible] ექიმებისა.

ვენა. ავსტრიის პარლამენტი 16 იანვრისათვის არის მოწოდებული.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრ.-ტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

6 დღე სამშაბათი. ნათლის ღება უფლისა. აგრეთვე ფრანგთა. სომეხ. შობა და განცხადება უფლისა. ხსნილი ოთხშაბათ-პარასკევსაც. მუს. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა. 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—0. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—57. მთვარე ამოდის 3—12 დილ. მთვარე 24 დღისაა.

7 დღე ოთხშაბათი. კრება წმ. წინამორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანესი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი. ფრანგთა თევდორესი, ლიუციანასი და იულიანისა. მუსულმ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—0. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—58, მთვარე ამოდის 4—13 დილ.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» 2 »	2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	3½ »
» » 3 »	3 »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . . .	3½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »
სუკი . . .	13 »
ცხვრის ხორცი . . .	7 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

პეტერბურგის ბირჟა, 5-ს იანვარს 1887 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 70 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	196 მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	244 მან.
— მეორისა	—	—	232 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო სამართველო თავის დადგინების თანხმად 20 დეკემბერს 1886 წელსა, ჰნიშნავს გასასყიდად მთელს სტამბას, რომელიც ეკუთვნის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ალექსანდრე ალექსანდრესძეს **მიხელსონს**; ეს სტამბა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში და დაფასებულია 1[illegible],565 მან. 91 კაპ.; ამ ფულით უნდა პირდასწყდეს სახაზინო ვალი, რომელიც დაედო ბ-ნს მიხელსონს კავკასიის ოლქის საინტენდანტო გამგეობისა

სტამბის გაყიდვა დანიშნული არის 20 იანვარს ამა 1887 წ. დილის 12 საათზე სტამბის სადგომში, ამის გამოვისაც ჰსურს ზემოხსენებული სტამბის ყიდვა, უნდა გამოცხადდეს დანიშნულ დროზე ჩითახოვის სახლებში, გოლოვინის პროსპექტზე.—დაწვრილებითი სია სტამბისა შეიძლება გაისინჯოს ყოველ დღე საგუბერნიო სამართველოში დილის 10 საათიდამ 2-საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა.

(1—1)

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში, რადგანაც უწინდელი ვაჭრობა არ შესდგა, დანიშნულია, 23 იანვარს 1887 წლისას, პირველი საათი რომ შესრულდება, ახალი ვაჭრობა განუმეორებლად, ზეპირისა და დაბეჭდილის კონვერტით, შესახებ შენობებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისათვის და რომელთა ასაშენებლად დანიშნულია სამოც-და რვა ათას ას ოთხმოც-და-თოთხმეტი მანეთი და ერთი აბაზი (68194 მ. 20 კ.). პირობანი ამ ვაჭრობისა და სმეტა შენობებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ეგზარხოსის კანცელარიაში. სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა, დილის რვა საათიდამ საღამოს ორ საათამდის.

ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან, სანამ დილის თორმეტი საათი შესრულდება, შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი სავაჭროდ და მასზედ, რომ მათა სურთ აიღონ ფოდრატი პირობათა თანხმობით. ვადად შენობების გათავებისა და ჩაბარებისა დანიშნულია პირველი დღე აგვისტოსი 1888 წლისა.

(3—3)

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამით და შინაარსით, როგორც აქამდე, ხოლო ფორმატი გაზეთისა შეიცვლება: წინ-და-წინდელზე ერთი ორად დიდი იქნება, ასე რომ წლის ბოლოს გაზეთი «თეატრიდგან» შესდგება ორი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

რადგანაც აქა-იქა მატულობს რიცხვი სცენის მოყვარეთა, ამისათვის რედაქცია თავის მოვალეობადა ჰრაცხს ბეჭდოს სხვათა შორის სცენაზედ ადვილად წარმოსადგენი პიესებიც.

ფასი თეატრისა იგივეა: ერთი წლით 5 მან. ნახევარ წლით 3 მან.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ. Контора редакціи газ. „Театръ“. Галлерея быв. Арцруни, № 149.**

ყველა პირობები ვრცლად არის მოხსენებული „თეატრის“ პირველ ნომერში.

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს მიიღებენ საჩუქრად ოქროს ვარაყიან ყდაში შეკრულს დიდ წიგნს, რომელშიაც იქნება არა ნაკლებ სამი კლასიკური პიესისა და რომელიც ეღირება არა ხელის მომწერთათვის ორი მანეთი.

(5—1)

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს.

„მწყემსზედ‘

და „მწყემსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოროციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

«მწყემსი» რუსული დამატებით მომავალი წლიდამ გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გამოვა სამჯერ თვეში და რუსული ორჯელ.

ფასი გამოცემისა:

მთელი წლისა გაგზავნით	5 მან.
ნახევარი	3 —
„მწყემსი“ რუსული გამოცემით:	
მთელი წლის გაგზავნით	6 მან.
ნახევარი	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით . . .	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь). ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

(3—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 »	5 „ . . .	5 „ 25 »
10 „ . . .	8 „ 75 »	4 „ . . .	4 „ 75 »
9 „ . . .	8 „ — »	3 „ . . .	3 „ 50 »
8 „ . . .	7 „ 25 »	2 „ . . .	2 „ 75 »
7 „ . . .	6 „ 50 »	1 „ . . .	1 „ 50 »

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისას გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

* * *

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

* * *

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 5 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე